

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს

აკადემიური პოზიციების დასაკავებლად:

1. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებებით:

- 1.1 **მათემატიკა** – პროფესორი;
- 1.2 **მელვინეობა** – ასოცირებული პროფესორი;
- 1.3 **სასურსათო ტექნოლოგია** – ასისტენტ პროფესორი.

2 საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. **მათემატიკის** მიმართულებით პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან/და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 15 წლის და ასევე,

- შესაბამისი მიმართულებით საერთაშორისო სამეცნიერო-საგრანტო პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება ისეთ საგნებში, როგორცაა: აზროვნების მათემატიკური წესი, კალკულუსი, წრფივი ალგებრა, კომპლექსური ცვლადი თეორია.
- ინგლისური ენის ცოდნა.

2.2. **მელვინეობის** მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან/და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 8 წლის გამოცდილება და ასევე:

- მელვინეობის მიმართულებით თეორიული, პრაქტიკული, კვლევითი და საკონსულტაციო მუშაობის გამოცდილება;
- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება ისეთ საგნებში როგორცაა: დეგუსტაციის თეორია და პრაქტიკა; მიკროვინიფიკაცია და ღვინის ფესტივალი; მელვინეობის რეგიონები და დეგუსტაცია.
- საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
- უპირატესობა მიენიჭება საზღვარგარეთ მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას;
- უპირატესობა მიენიჭება ფრანგული ენის ცოდნას.

2.3. **სასურსათო ტექნოლოგიის** მიმართულებით ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და ასევე:

- შესაბამისი მიმართულებით საერთაშორისო სამეცნიერო-საგრანტო პროექტებში მუშაობის გამოცდილება;

- შესაბამისი მიმართულებით კვლევითი, პრაქტიკული და საკონსულტაციო საქმიანობის გამოცდილება;
- გამოქვეყნებული პუბლიკაციები;
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობა არანაკლებ 3 წლის გამოცდილება ისეთ საგნებში, როგორცაა: სურსათის უვნებლობა; კვების პროდუქტების დანამატები; ახალი სასურსათო პროდუქტის შექმნა და განვითარება; სურსათის რეოლოგია და სენსორული ანალიზი;
- უპირატესობა მიენიჭება საზღვარგარეთ მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას;
- ინგლისური ენის ცოდნა.

3. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებული იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამის კვალიფიკაციად ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლების შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია.

4. განცხადებების მიღება იწარმოებს **2023 წლის 1 მარტიდან - 6 მარტის ჩათვლით**.

5. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

- 5.1. ბიოგრაფია (CV);
- 5.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
- 5.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
- 5.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- 5.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;
- 5.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

6. დოკუმენტაციის მიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - <https://form.jotform.com/223603897372463>

7. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

8. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2023 წლის 7 მარტიდან - 2023 წლის 13 მარტის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2023 წლის 14 მარტიდან - 2023 წლის 20 მარტის ჩათვლით**.

9. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე.

10. **საკონტაქტო ინფორმაცია:**

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი.

ვებ-გვერდი: www.agruni.edu.ge

ელ.მისამართი: Vacancy@agruni.edu.ge